ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 30 -2022

სამედიცინო-დიაგნოსტიკური მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 13 აპრილი, 2022 წელი.

ერთი მხრივ, სსიპ "სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო" (შემდგომში "დამკვეთი") მისი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის -ზაზა ლომიძის სახით და მეორე მხრივ, შპს ავერსის კლინიკა „" (შემდგომში „დაწესებულება"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით "დამკვეთი" უკვეთავს ხოლო "დაწესებულება" უზრუნველყოფს სამედიცინო-დიაგნოსტიკური მომსახურების განხორციელებას, CPV კოდით **85145000** - სამედიცინო ლაბორატორიების მომსახურებები კერძოდ: ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) PCR კორონავირუსის რნმ-ის თვისობრივი განსაზღვრა რეალურ დროითი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მიმართ PCR ტესტირებას, რის სანაცვლოდაც „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს „დაწესებულებას" გაწეული მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

1,მათე სამნიაშვილი პ/ნ 57001000465

2.გრიგოლი კოხრეიძე პ/ნ 01030002370

3. ლევანი გლოველი პ/ნ 01017039958

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 ,,დაწესებულება'' ვალდებულია:

2..2."დამკვეთს'' გაუწიოს ხარისხიანი, სამედიცინო მომსახურეობა.

2.3 მიაწოდოს "დამკვეთს" ჩატარებული PCR კვლევის (ანალიზების) პასუხები საკვლევი მასალის მიწოდებიდან არაუმეტეს 24(ოცდაოთხი) საათის ვადაში.

2.4 "დაწესებულება" უფლებამოსილია მოსთხოვოს "დამკვეთს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვალდებულებების დროული და ჯეროვანი განხორციელება.

"დამკვეთი" ვალდებულია:

2.5. მოახდინოს ანგარიშსწორება "დაწესებულებასთან" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

2.6. არ ჩაერიოს „დაწესებულების" დიაგნოსტიკის ტაქტიკაში და სამედიცინო აუცილებლობის, მათ შორის კვლევებისა და სხვათა განსაზღვრაში;

3. ანგარიშსწორების წესი.

3.1 „დამკვეთის" მიერ „დაწესებულებისათვის" ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება 165.00 (ასსამოცდახუთი და 00)ლარი-, განხორციელებული დაკვეთისა და ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით.

3.2. “დამკვეთი” “დაწესებულებასთან” ანგარიშსწორებას ახორციელებს „დაწესებულების“ მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტების, მიღება-ჩაბარების აქტის და ინვოისის საფუძველზე.

4. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით „დაწესებულება“ ადასტურებს, რომ მას მიღებული აქვს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის ნებართვა და ლიცენზია ამ ხელშეკრულებით გათვალსიწინებულ მოვალეობათა და ფუნქციათა შესასრულებლად.

5. კონფიდენციალურობა

5.1. მხარეები ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

5.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:

6. ხელშეკრულების მოქმედება

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელმოწერიდან 2022 წლის 12 აპრილიდან 2022 წლის 18 მაისის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება, გახდეს:

ა) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

გ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;დ) მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადამდე შეწყვეტის შესახებ; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები

.8. დავა და ზიანის ანაზღაურება

8.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო ფორს-მაჟორული გარემოებების (სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების კანონიერ ძალაში შესული აქტები და სხვა გერემოებები, რამაც დააბრკოლა ან/და შეუძლებელი გახადა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება) დადგომა.

9.2. ხელშეკრულების მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ ერთმანეთი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეჩერდება ფორს-მაჟორული გარემოების დამთავრებამდე.

9.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს კომპეტენტურმა ორგანომ.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ და წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან მისი ნაწილის გაუქმება ან ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას.

10.3. **2 ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.**

11. მხარეთა რეკვიზიტები

„დაწესებულება“	„დამკვეთი“
შპს. ავერსის კლინიკა I/C • ს/კ 212002580 27 b Vazha Pshavela Ave., Tbilisi, Georgia თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.27ბ Tel.:+995 (32) 2 500 700 E-mail: ნანა ძნელაძე nana.dzneladze@aversi.ge http://www.aversiclinic.ge ხელმოწერა: --გენერალური დირექტორი დ .ჯორბენაძე	სსიპ "სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო" მისამართი : ქ. თბილისი 9 აპრილის ქ.N2 ს/კ : 204429494 ბანკის კოდი – TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121 ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022 სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:. ხელმოწერა: --------ზ.ლომიძე

LLC Aversi Clinic

Digitally signed by LLC Aversi Clinic
Date: 2022.04.13 12:39:16 +04'00'

დანართი N 1

	კვლევის დასახელება	**ერთეულის ფასი**
1.	ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მიმართ PCR ტესტირება	55 ლარი

მხარეთა ხელმოწერები:

„დაწესებულება“ შპს. ავერსის კლინიკა I/C • ს/კ 212002580 27 b Vazha Pshavela Ave., Tbilisi, Georgia თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.27ბ Tel.:+995 (32) 2 500 700 E-mail: ნანა ძნელაძე nana.dzneladze@aversi.ge http://www.aversiclinic.ge ხელმოწერი:დ.ჯორბენაძე	„დამკვეთი“ სსიპ "სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო" სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ხელმოწერა: ზ. ლომიძე Zaza Lomidze 01002011188 Digitally signed by Zaza Lomidze Date: 2022.04.13 12:21:49

LLC Aversi Clinic
Digitally signed by LLC Aversi Clinic
Date: 2022.04.13 12:39:31 +04'00'